



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
სულიკო თებიძის
ერთწლიანი საქმიანობის ანგარიში

2018 წელი, დეკემბერი

www.batumicc.ge

შესავალი


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს წარმომადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, 4 წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს ბათუმის თვითმმართველი ორგანოს - საკრებულოს 25 წევრი, აქედან 10 წევრი - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, ხოლო 15 წევრი - პროპორციული წესით ბათუმის მთელ ტერიტორიაზე.

2017 წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს საქმიანობა და უფლებამოსილება განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

- საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება;
- საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების გახორციელება.

IV მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 მუდმივმოქმედი კომისია და 4 ფრაქცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კომისიები	ფრაქციები:
➤ საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია; ➤ ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია; ➤ ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია; ➤ განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია. ➤ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.	➤ „<u>ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო</u>“ ➤ „<u>ქართული ოცნება - მრეწველები</u>“ ➤ „<u>ქართული ოცნება - კონსერვატორები</u>“ ➤ „<u>ერთიანი ნაციონალური მოძრაობა</u>“

IV მოწვევის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- 21 სხდომა
- 42 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ 183 საკითხი, მიღებულ იქნა 104 განკარგულება და 79 დადგენილება.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი, მათ შორის, გადაწყვეტილებები ქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე, ქალაქ ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები

- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება.

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად ქალაქში გახორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის:

- განხორციელდა სისტემური ცვლილებები მუნიციპალიტეტის ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით;
- გაუმჯობესდა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები და მუნიციპალური სერვისები;
- ქალაქგეგმარებისა და ქალაქგანაშენიანების საკითხებზე მუშავდება შესაბამისი დოკუმენტები;
- მდგრადი ურბანული სატრანსპორტო სისტემის განვითარების მიზნით დამტკიცდა ქ. ბათუმის მდგრადი ურბანული მობილობის სტრატეგია;
- ბიზნესის განვითარების სტიმულირების მიზნით შემუშავდა მცირე კომერციული პროექტების მხარდაჭერის პროგრამა;
- განხორციელდა წყლის, ჩამდინარე წყლების სანიადვრე არხებისა და წყალარინების სისტემის ინფრასტრუქტურული პროექტები;
- განხორციელდა ქალაქის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტები;
- განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები;
- დაფინანსდა განათლების, კულტურისა და სპორტის პროგრამები.

2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრული იყო 146,121.0 ათასი ლარით. ბათუმის 2018 წლის ბიუჯეტის თანხები ძირითადად მიმართული იყო ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და ქალაქის სარეაბილიტაციო სამუშაოების გასახორციელებლად.




საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი. აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

2018 წლის დასაწყისში საკრებულოში გახორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, საკრებულოს ექვსი განყოფილებიდან ორი - საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებები გაუქმდა. წლის ბოლოს კი საკრებულოს აპარატში გახორციელდა ხელახალი რეორგანიზაცია, რომლის საჭიროებაც განპირობებული იყო შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციით. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და იგი უნდა იყოს რეგისტრირებული ერთ საგადასახადო სუბიექტად. ცვლილების შემდეგ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი დარეგისტრირდა როგორც ერთი საგადახდო სუბიექტი, რომელსაც მომავალი წლიდან ექნება ერთი შესყიდვების გეგმა, ერთიანი სახელმწიფო შესყიდვები, ერთიანი საფინანსო ანგარიშსწორება და საგადასახადო ანგარიშგება. მანამდე არსებული მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია ორი დამოუკიდებელი და განცალკევებული სუბიექტი იყო და შესაბამისად, ჰქონდათ განცალკევებული საფინანსო ანგარიშსწორება, საგადასახადო ანგარიშგება, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. დებულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად საკრებულოს აპარატში დარჩა სამი განყოფილება:



საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის ფრაქციაში - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

IV მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა 13 წევრით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ფრაქციის საქმიანობის საჯაროობა
- დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
- ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
- თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად გახორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციაზე განხილული საკითხები:

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის:

- საკრებულოს წევრების 2018 წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2018 წლის სამუშაო გეგმის შესახებ საკრებულოს ფრაქციასა და ბათუმის მერიას შორის კოორდინაციის გეგმის შემუშავების შესახებ;
- სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სხვადასხვა საკითხის განხილვის შესახებ;
- ქალაქში დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაციების მოსმენა.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 17 სხდომა.

ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა 47 საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

კომისიის მიზანი:

საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივი კონტროლის გახორციელება.

კომისიის საქმიანობა:

ა) შეიმუშავეს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებს და ღებულობს დასკვნებს მათი უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის თაობაზე;

გ) სამოქმედო სფეროში განიხილავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პროექტს, ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამების პროექტებს და ღებულობს შესაბამის დასკვნებს მათ შესახებ;

ვ) სამოქმედო სფეროში კონტროლს უწევს მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

კომისიის შემადგენლობაშია საკრებულოს 10 წევრი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ გამართა 22 სხდომა. კომისიამ 22 სხდომაზე განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 179 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ დასკვნის სახით 22 რეკომენდაცია შეიმუშავა .



მოქალაქეებთან კომუნიკაცია

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარე სხვადასხვა საკითხზე ადგილზე შეხვდა და კონსულტაცია გაუწია 453 მოქალაქეს.

ამავე პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე საკრებულოს აპარატში რეგისტრირებულია 237 განცხადება. აქედან განცხადებების 77 % განხილულია, ხოლო დანარჩენი შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია შესაბამის სამსახურებში განსახილველად.

ამასთანავე, ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებში ბათუმის მერთან და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად გამართულ შეხვედრებზე შესწავლილი იქნა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილი იქნა მოსახლეობის მიერ შეხვედრებზე დასმული საკითხების უმრავლესობა.



საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების გახორციელება

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს.

30.03.2018. -01.04.2018, თბილისი - საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან რეგიონულ შეხვედრაში, რომელზეც განიხილებოდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის“ განხორციელების ხელშეწყობის საკითხები;

17-18.04.2018, წყალტუბო - მონაწილეობდა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონსულტაციებში, რომელიც მუნიციპალიტეტში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვასა და გამოწვევებს ეხებოდა;



14-15. 05. 2018, თბილისი - საკრებულოს თავმჯდომარე მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მიერ ორგანიზებულ პირველ ეროვნულ კონფერენციაში თემაზე: „გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობაში - გამოწვევები და შესაძლებლობები“;

(18-26.05.18) - ტერნოპოლი, უკრაინა - მონაწილეობდა ევროპის დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც სიტყვით გამოსვლისას საკრებულოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო ისტორიულ-კულტურულ კავშირებს და აღნიშნა, რომ ევროპული ოჯახისკენ მიმავალ გზაზე საქართველო და უკრაინა გვერდიგვერდ დგანან. ვიზიტის ფარგლებში საკრებულოს თავმჯდომარე მონაწილეობდა მასპინძელი მხარის მიერ დაგეგმილ ტერნოპოლის რეგიონის საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმში - „ტერნოპოლის რეგიონის ინვესტიცია-2018“;



(07-10.07.18) - ყვარელი - მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მიერ ორგანიზებულ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის ფორუმში;



(17.07.18) - თბილისი - მონაწილეობდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიწვევით, ღია მმართველობის მე-5 გლობალურ სამიტში;

(07.12.18) - თბილისი - მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტში გამართულ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის გენერალურ ფორუმში, რომელიც საქართველოში საერობო (თვითმმართველობის) არჩევნების ჩატარებიდან 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.



ელექტრონული პეტიციების ამოქმედება

ბათუმის საკრებულომ, თვითმმართველ ქალაქებს შორის ერთ-ერთმა პირველმა დანერგა პეტიციის ელექტრონული სახით წარდგენის წესი. საკრებულოში ელექტრონული პეტიციების ამოქმედების თაობაზე პეტიცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში შემოვიდა, რომლის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების შემდგომ მუნიციპალიტეტის საკრებულომ, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის დახმარებით, საკუთარ ვებგვერდზე განათავსა შესაბამისი აპლიკაცია. აღნიშნული აპლიკაციის მეშვეობით ქალაქ ბათუმის ამომრჩევლებს უკვე შესაძლებლობა აქვთ სახლიდან გაუსვლელად დაარეგისტრირონ ელექტრონული პეტიცია საკრებულოში და გააკეთონ მასზე ხელმოწერა.

ამჟამად ელექტრონული პეტიციის სახით ბათუმის საკრებულოში რეგისტრირებულია ერთი ელექტრონული პეტიცია.

The screenshot displays the Batumi City Council's official website with a focus on the electronic petition system. The header includes the council's logo and navigation links. The main content area is divided into two columns. The left column, titled 'როგორ შეავსოთ პეტიცია?', provides instructions on how to fill out a petition, including details about the required information and the submission process. The right column, titled 'ინფორმაცია', contains additional information about the petition system, including the council's commitment to transparency and the process of handling petitions. The interface is clean and professional, with a clear layout for users to follow.

„ღია კარის“ სხდომაზე განხილული საკითხები და მათზე რეაგირება

ღია კარის სხდომა მოქალაქეთა ჩართულობის სწორედ ის მექანიზმია, როდესაც საკრებულო პერიოდულად ისმენს მოქალაქეთა მოსაზრებებს მათთვის საჭირობო საკითხებზე.

ბათუმის საკრებულოში ღია კარის სხდომა, მოქალაქეთა მოსმენა, მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 24-მა მოქალაქემ. მოქალაქეებმა სხდომაზე, ძირითადად, ეზოების კეთილმოწყობაზე, ინფრასტრუქტურაზე, სამოქალაქო ტრანსპორტის პრობლემებზე, შშმ პირთა საჭიროებებზე, ბათუმის ურბანული განვითარების სტატეგიაზე, ახალგაზრდულ და კულტურულ პროგრამებზე, ველოტრანსპორტის განვითარებასა და ქალაქის გამწვანების პოლიტიკაზე გაამახვილეს ყურადღება.



მოქალაქეების მიერ „ღია კარის“ სხდომაზე დასმული პრობლემური საკითხებიდან ნაწილი გადაწყდა დადებითად, ნაწილის გათვალისწინება მოხდა 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებისას, ნაწილზე კი - მიმდინარეობს შესწავლა.

კერძოდ:

ლერმონტოვის ქ. N107/გ-ში ტრენაჟორების შეკეთება და ეზოს კეთილმოწყობა დაიგეგმა 2019 წლისთვის, ხოლო საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგების მიზნით მიმდინარეობს საკითხის შესწავლა მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ.

ზედალელის დასახლებაში შესწავლილია მეწყერსაშიში მდგომარეობა, მომზადებულია პროექტი და მომავალ წელს ბიუჯეტიდან ასიგნების შემთხვევაში დაიწყება ფერდსამაგრი სამუშაოები.

ბაქოს ქ. N74-ის მიმდებარედ მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი, ხოლო სტადიონის განათების სამუშაოები დაიწყება უახლოეს პერიოდში.

ლალო ასათიანის და ვაჟა-ფშაველას კვეთაში არსებული საწარმოდან გამონაბოლქვის პრობლემის შესახებ დასმული საკითხი შესასწავლად გადაეგზავნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს რეაგირებისთვის, ვინაიდან საკითხის მოგვარება სცილდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას.

ჯავახიშვილის ქ. N78-ში მიშენების შედეგად გადახრილი კორპუსის თაობაზე, უშუალოდ მერის და მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელების მიერ მოსახლეობას განემარტა გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. მოსახლეობამ უნდა გაამზადოს ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც დაზუსტდება შემდგომში გასატარებელი ღონისძიებები.

სვიშვესკის ქ. N230-ში ეზოში ასფალტის საფარის და გარე განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უკვე მზადაა და სამუშაოები გათვალისწინებულია 2019 წლის ბიუჯეტში.

ე.წ. ბნზ-ს დასახლებაში სარკინიზო გადასასვლელის მოწყობის თაობაზე დასმული საკითხის მოგვარება ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, ვინაიდან მერიის მიერ არაერთგზის შუამდგომლობის მიუხედავად, საქართველოს რკინიგზას ამ ეტაპზე არ განუხორციელებია სარკინიზო გადასასვლელის კაუჩუკის საფარით მოწყობის სამუშაოები.

გაგარინის ქუჩის კეთილმოწყობის საკითხის მოგვარება მიმდინარეობს, უკვე გაიწმინდა ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხი, მოიხრეშა ორბელიანის ქუჩაზე ფეხით გასასვლელი ბილიკი. ხოლო ლეონიდის ქუჩაზე გასასვლელი მონაკვეთის კეთილმოწყობა ამ ეტაპზე შეუძლებელია იქ მიმდინარე სპორტული კომპლექსის მშენებლობის გამო, მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით მოეწყო ტროტუარი.

დუმბაძის ქუჩაზე მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის აღდგენის საკითხის შესწავლის შედეგად გადაწყდა, ახალი ბარიერის დამონტაჟება, ვინაიდან ძველი აღდგენას არ ექვემდებარება. ვინაიდან დუმბაძის ქუჩა არ არის ამხანაგობის საკუთრება, სამუშაოების ჩატარება თანადაფინანსების პროგრამით ვერ ხორციელდება, ამიტომ ახალი ბარიერის დამონტაჟება გათვალისწინებული იქნა 2019 წლის ბიუჯეტში.

მაზნიაშვილის ქ. N 10-ში დაზიანებული ხის შუმბანდის აღდგენასთან დაკავშირებით, მოქალაქეს განემარტა, რომ სახლი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

ფრ. ხალვაშის ქ. N 328-ში ლიფტთან პანდუსის მოწყობის თაობაზე, მერიის შესაბამის სამსახურს უკვე მიეცა დავალება პროექტის მოსამზადებლად.

ბესიკის ქ. N42-ში სახურავის შეკეთება და საწვიმარი მილების შეკეთება შეტანილია შესასრულებელ სამუშაოთა სიაში, მოთხოვნის შესაბამისად აღდგენილია ატრაქციონი.

ჭავჭავაძის ქ. N3-ში მოსახლეობას განემარტა, რომ შლაგბაუმის მოწყობისთვის საჭიროა ამხანაგობის განცხადება, რაც შეეხება გარე განათების საკითხს, ბოდი უკვე დამონტაჟებულია.

სამრეწველო უბანში არსებული პრობლემებისა და სკვერების, პარკების სიმცირის თაობაზე დასმული საკითხი აყვანილია კონტროლზე. სამრეწველო უბნის ადმინისტრაციასთან ერთად მიმდინარეობს სკვერების შესაძლო ადგილების შერჩევა, რომლის შემდეგაც დაიწყება პროექტირებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

მეჯინისწყლის უბანში გარე განათების მოწყობა გახორციელდება 2019 წელს, ასევე, სანიაღვრე არხის საკითხი შეტანილია დასაპროექტებელ სამუშოთა სიაში, მიმდინარეობს ატარქციონის მოწყობის საკითხის დამატებით შესწავლა.

სელიმ ხიმშიაშვილის ქ. N94-ში სადარბაზოს კარის დამონტაჟების, ლიფტების გარემონტების, ლიფტების სახურავის შეკეთების საკითხის გადაწყვეტა დაგეგმილია 2019 წელს ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში. ასევე დაგეგმილია ატარქციონის დამონტაჟების საკითხიც.

სხდომაზე დასმული **ახალგაზრდული, კულტურული პროგრამების** გათვალისწინება 2019 წლის ბიუჯეტში, ასახულია ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში.

საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივები

საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოში შევიდა საკრებულოს თავმჯდომარის 11 ინიციატივა.

კერძოდ:

1. **30/03/2018.** - საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება N34 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
დადგენილების თანახმად, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას 0,15 ლარიანი შეღავათით ისარგებლებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში და რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს.
2. **27/07/2018.** - საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება N59 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

პეტიციის წარმომდგენ ამომრჩეველთა რაოდენობა განახევრდა და ნაცვლად 1%-სა განისაზღვრა 0,5 %-ით (რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მეტ ჩართულობას თვითმმართველობის საქმიანობაში);

3. **27/07/2018** - მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება N60 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა საკრებულოს აპარატის საშტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაცია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის 1 საშტატო ერთეულით შემცირება, კერძოდ: გაუქმდა მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში) - 1 ერთეული შტატი და აღნიშნული საშტატო ერთეულით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი გაერთიანდა მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (პროტოკოლის საკითხებში) - უფლება-მოვალეობებთან;



4. **27/07/2018** - მიღებულ იქნა საკრებულოს განკარგულება N62 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 18 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განსახილველად წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებდა შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრას 18-ით ნაცვლად 17-ისა, რაც იძლევა საშუალებას საჭიროების შემთხვევაში ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილ იქნას დამხმარე სპეციალისტი, რომელიც შეასრულებს ზემოხსენებულ ფუნქცია-მოვალეობებს;

5. **09.08.18** - მიღებულ იქნა საკრებულოს განკარგულება N65 - „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან გამოყონ ის შენობა-ნაგებობა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და ამ მიზნით საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დაუთმონ იგი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. აღნიშნული ნორმის შესრულების მიზნით, განკარგულების მიღების მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის გამოყოფა (განსაზღვრა) საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად;

6. **09.08.18.** - მიღებულ იქნა საკრებულოს განკარგულება N66 - „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო-სააგიტაციო

მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნოსააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ განკარგულების მიღების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესრულების მიზნით იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალისა და ზონების განსაზღვრა, რომლებზედაც/სადაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, ასევე სტენდებისათვის ადგილების განსაზღვრა სააგიტაციო მასალის გასაკრავად;

7. **31.08.18.** - მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება N64 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესის დამტკიცების შესახებ“.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (№11/482, 27.07.2018) შემოსული (№GOV 3 18 00024309, 26.07.2018) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სარეკომენდაციო წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 137-ე მუხლის შესაბამისად და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ამოქმედებულ საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების დამატებითი წესი;

8. **31.10.18.** - მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება N66 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

რეორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე გახორციელდა საკრებულოს აპარატის ოპტიმიზაცია. კერძოდ, ვინაიდან საკრებულოს აპარატის ფუნქცია იქნება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და არა უშუალოდ შესყიდვების, საფინანსო და საგადასახადო ოპერაციების განხორციელება, ამდენად გაუმართლებელი იქნება საკრებულოს აპარატში სტრუქტურული ერთეულის სტატუსით ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების არსებობა, რის გამოც უნდა მოხდეს ამ განყოფილების გაუქმება (შესყიდვების მიმართულებით, როგორც ცნობილია საკრებულოს აპარატში რამდენიმე თვის წინ ჩატარებული რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდა შესყიდვების განყოფილების, როგორც სტრუქტურული ერთეულის გაუქმება და ამ სფეროში საკრებულოს აპარატში დასაქმებულია ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი). რაც შეეხება განყოფილებაში დასაქმებულთა სტატუსსა და რაოდენობას ამ მხრივ საჭიროა საკრებულოს აპარატში (განყოფილების გარეშე, უშუალოდ აპარატის დაქვემდებარებაში) არსებობდეს ერთი მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, რომელსაც ფუნქციურად დაევალება საკრებულოს საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციის პროექტის (ინფორმაციის) მომზადება და მერიაში მისი წარდგენის ორგანიზება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ ფუნქციის შემსრულებელი ერთი შტატგარეშე მოსამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მიღება;

9. **31.10.18** - მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება N67 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

საკრებულოს აპარატის ხელახალი რეორგანიზაციის საჭიროება გამოწვეულია შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციით იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტი არის ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და იგი უნდა იყოს რეგისტრირებული ერთ საგადასახადო სუბიექტად, ხოლო იმისათვის, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელების დროს არ წარმოიშვას სხვადასხვა ტექნიკური, სამართლებრივი და საფინანსო პრობლემები, საჭიროა დასახელებული ცვლილებების ამოქმედება მოხდეს ახალი საბიუჯეტო წლიდან (2019 წლის 1 იანვრიდან). დღეის მდგომარეობით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია ორი დამოუკიდებელი და განცალკევებული სუბიექტია, შესაბამისად საკრებულოს და მერიას აქვს

განცალკევებული საფინანსო ანგარიშსწორება, საგადასახადო ანგარიშგება, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. ცვლილებების შემდეგ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დარეგისტრირდება როგორც ერთი საგადასახადო სუბიექტი, რომელსაც ექნება ერთი შესყიდვების გეგმა, ერთიანი სახელმწიფო შესყიდვები, ერთიანი საფინანსო ანგარიშსწორება და საგადასახადო ანგარიშგება. საკრებულოს აპარატში კვლავ უნდა არსებობდეს შესაბამისი საშტატო და შტატგარეშე სპეციალისტები, ვინც უზრუნველყოფს საკრებულოს ნაწილში საჭირო დოკუმენტაციის (ინფორმაციის) მომზადებას და საჭიროებისამებრ მერიისათვის მიწოდებას, ხოლო მერია უზრუნველყოფს ფორმალურ - სამართლებრივი თვალსაზრისით მის რეალიზაციას (განხორციელებას). შესაბამისად, რეორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა მოხდეს ამ კუთხით საკრებულოს აპარატის ოპტიმიზაცია. კერძოდ, ვინაიდან საკრებულოს აპარატის ფუნქცია იქნება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და არა უშუალოდ შესყიდვების, საფინანსო და საგადასახადო ოპერაციების განხორციელება, გაუმართლებელი იქნება საკრებულოს აპარატში სტრუქტურული ერთეულის სტატუსით ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების არსებობა, რის გამოც უნდა მოხდეს ამ განყოფილების გაუქმება (შესყიდვების მიმართულებით, როგორც ცნობილია საკრებულოს აპარატში რამდენიმე თვის წინ ჩატარებული რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდა შესყიდვების განყოფილების, როგორც სტრუქტურული ერთეულის გაუქმება და ამ სფეროში საკრებულოს აპარატში დასაქმებულია ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი). რაც შეეხება განყოფილებაში დასაქმებულთა სტატუსსა და რაოდენობას ამ მხრივ საჭიროა საკრებულოს აპარატში (განყოფილების გარეშე, უშუალოდ აპარატის დაქვემდებარებაში) არსებობდეს ერთი მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, რომელსაც ფუნქციურად დაევალება საკრებულოს საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციის პროექტის (ინფორმაციის) მომზადება და მერიაში მისი წარდგენის ორგანიზება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ ფუნქციის შემსრულებელი ერთი შტატგარეშე მოსამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მიღება;

10. **30.11.18.** - მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება N70 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანა გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დადგენილებით დამტკიცებასთან დაკავშირებით. დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, აღნიშნული საბჭოს დებულება დამტკიცებულია ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტით - განკარგულებით. ამასთან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე შესაბამისი დეპარტამენტის წერილობითი რეკომენდაციაა დასახელებული საბჭოს

დებულება დამტკიცდეს ნორმატიული აქტით - დადგენილებით. გარდა ამისა, რეკომენდაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო უნდა შესწორდეს შემდეგი სახით: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო;

11. **30.11.18.** - მიღებულ იქნა საკრებულოს დადგენილება N71 - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

2019 წლის 1 იანვრიდან საკრებულოს საქმიანობისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების და საფინანსო-საბუღალტრო, საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგებას განახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო აპარატის მოვალეობა იქნება ამ ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის და დოკუმენტაციის მომზადება.

